

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N12

ქ. ლანჩხუთი

14 აგვისტო 2013 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან გიგინეიშვილი

სხდომას ეწვებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, გელა ქურიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თვითმმართველობა განვითარებისთვის“ თავმჯდომარე, რევაზ ჩიტინე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გაია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო მიმიგური.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ვახტანგ ზენაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ჩაგუნავა, გამგებლის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაგალი კუნჭულია, გამგებლის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, როლანდ ლაშხია, გამგებლის ინფრატრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ ხელაძე, გამგებლის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მათა ჩხაიძე, გამგებლის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაკა სულაბერიძე, სპეციალისტი ნათია იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: პ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინასტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: რ.ლაშხია/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შესყიდვების გეგმის პროექტში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის განკარგულებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურის სამუშაოებზე გამოყოფილი თანხები. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 აგვისტოს N1039 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იქნა 1026130 ლარი, კერძოდ:

1. ქალაქი - საფო მგელაძის ქუჩის რეაბილიტაცია სარკინიგზო გადასდასვლელიდან სტადიონამდე - 287870 ლარი
2. ჯურუყვეთი - სოფ. ბაღლეფში ხიდის მოწყობა. აგრეთვე მოსაწყობია რკინა ბეტონის ხიდი ზომით 5,3X4,4 მ - 11995 ლარი
3. ჩიბათი - სოფ. ქვ/ჩიბათში მდ. გომახურზე სამ ადგილზე ყორე ქვის ნაპირსამაგრის მოწყობა, სამ ადგილზე მოსაწყობია ყორე ქვის გაბიონი საერთო სიგრძით (30+20+20) 70 გრძ/მ - 23870 ლარი
4. ეწერი - სოფ. ეწერში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 50 ოჯახზე წყლის შემკრები და გამანაწილებელი რეზერუარის შეკეთება და პოლიეთილენის მილი მოწყობა—ჩამარხვა - 25055 ლარი
5. ლესა - სოფ. ლესაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 90 ოჯახზე წყლის სათავე ნაგებობის და 7000 გრძ/მ პოლიეთილენის მილი რეაბილიტაცია (დ=32–90მმ) – 67445
6. გვიმბალაური - გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების შიდა ქსერეაბილიტაცია 520 ოჯახზე არსებული ძველი რკინის მილების შეცვლა პოლიეთილენისმილი მოწყობა სიგრძით 7 კმ (დ=63–125მმ) – 128625 ლარი
7. შუხუთი - სოფ. ქვემო შუხუთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 50 ოჯახზე წყლის სათავე ნაგებობების, შემკრები რეზერუარის და 4160 გრძ/მ პოლიეთილენის მილი მოწყობა (დ=32–90მმ) – 118035 ლარი
8. ნიგოთი - სოფ. ნიგოთში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 285 ოჯახზე წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, არსებული რეზერუარის შეკეთება და 10000 გრძ/მ პოლიეთილენის მილი შეცვლა (დ=20–120მმ) – 147675 ლარი
9. მამათი - მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების შიდა ქსელის რეაბილიტაცია 150 ოჯახზე ორი ერთეული წყლის შემკრები გამანაწილებელი რეზერუარის შეკეთება, პოლიეთილენის მილი მოწყობა სიგრძით 11 კმ (დ=20–110მმ) – 102650 ლარი
10. აცანა - აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობა - 24840 ლარი
11. ნინოშვილი - ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია - 10260 ლარი
12. ჩოჩხათი - სოფ. ხორეთში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - 55365 ლარი
13. მახვარეთი - წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია წმინდა გიორგის ქუჩაზე 76 ოჯახზე შესაცვლელია 2000 გრძ/მ ძველი რკინის მილი პოლიეთილენისახალი მილით (დ=20–90მმ) – 22445 ლარი

2013 წლის 2 აგვისტოს N1016 განკარგულებით მიმდინარე წლის ივნისი–ივლისის თვეებში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 245000 ლარი. სოფლების მიხედვით ზარალი შესწავლილია და წარმოდგენილია სავარაუდო ღირებულება კერძოდ;

1. ორმეთი - ძლიერი ნიაღვარის გამო დაზიანებულია 1 ერთეული ხიდი და 5 ერთეული მილხიდი, რომლებიც საჭიროებს აღდგენა გაწმენდით სამუშაოებს - 18000 ლარი
2. ორმეთი - ნატანი ქანებისგან არის ამოვსებული მდინარისა და სანიაღვრე არხების კალაპოტი, დაახლოებით საერთო სიგრძე შეადგენს 3000 გრძ/მ, რომლებიც საჭიროებს გაწმენდით სამუშაოებს ნაწილობრივი გატანით - 8000 ლარი
3. ორმეთი - ძლიერი წვიმების შედეგად აღიდებულია მდინარემ დააზიანა მოსახლის კუთვნილი კერძო ნაკვეთები. საჭიროა მოეწყოს ნაპირსამაგრი ყორე ქვით საერთო სიგრძით 120 გრძ/მ – 16000 ლარი
4. ორმეთი - სტიქიის შედეგად დაზიანებულია და დაღარულია 1200 გრძ/მ შიდა სასოფლო სააგტომობილო გზა, რომელიც საჭიროებს მოხრეშვა–დაპროფილებას და სანიაღვრე არხების გაწმენდას – 16000 ლარი
5. ომფარეთი - ძლიერი ღვარცოფის შედეგად ნატანი ქანებით არის ამოვსებული გზისპირა წყალგამტარი მიწები და ცხაურები, რომლების საჭიროებენ აღდგენით და გაწმენდით სამუშაოების ჩატარებას – 11000 ლარი
6. ომფარეთი - სტიქიის შედეგად დაზიანებულია და დაღარულია 300 გრძ/მ შიდა სასოფლო სააგტომობილო გზა, რომელიც საჭიროებს მოხრეშვა–დაპროფილებას და სანიაღვრე არხების გაწმენდას – 6000 ლარი
7. ღრმაღელე - ნატანი ქანებისგან ამოვსებულია სანიაღვრე არხის კალაპოტი, დაახლოებით სიგრძე შეადგენს 2000 გრძ/მ, რომლებიც საჭიროებს გაწმენდით სამუშაოების ჩატარებას – 4500 ლარი
8. წყალწმინდა - ნატანი ქანებისგან ამოვსებულია სანიაღვრე არხის კალაპოტი, დაახლოებით სიგრძე შეადგენს 1800 გრძ/მ, რომლებიც საჭიროებს გაწმენდით სამუშაოებს ჩატარებას – 4000 ლარი
9. წყალწმინდა - ძლიერი წვიმების შედეგად არსებულმა მდინარემ დააზიანა მოსახლის კუთვნილი კერძო ნაკვეთი. საჭიროა მოეწყოს ნაპირსამაგრი ყორე ქვით სიგრძით 60 გრძ/მ – 16000 ლარი

10. წყალწმინდა - ძლიერი ღვარცოფის შედეგად ნატანი ქანებით ამოვსებულია 5 ერთეული გზისპირა წყალგამტარი მილები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენით და გაწმენდით სამუშაოების ჩატარებას – 3000 ლარი
11. წყალწმინდა – დაზიანებულია ორი სახიდე გადასასველი, რომელთაგან ერთი ექვემდებარება აღგენას ხოლო მეორე საჭიროებს დემონტაჟს და ახლიდან მოწყობას – 26000 ლარი
12. ნინოშვილი - ძლიერი წვიმების შედეგად აღიდებულმა მდ. ღვეის წყალმა წაიღო მოსახლეობასთან მისასვლელი 2 საავტომობილო ხიდი, საჭირო არის მოეწყოს რკ/ბეტონის 2 ხიდი, 100 გრძ/მ მდინარის ყორე ქვის ნაპირსამაგრი და 200 გრძ/მ საავტომობილო გზის მოხრეშვა დაპროფილება - 56000 ლარი
13. ნინოშვილი - ძლიერი წვიმების შედეგად აღიდებულმა მდ. ღვეის წყალმა წაიღო მოსახლეობასთან მისასვლელი 2 საავტომობილო ხიდი, საჭირო არის მოეწყოს რკ/ბეტონის 2 ხიდი, 100 გრძ/მ მდინარის ყორე ქვის ნაპირსამაგრი და 200 გრძ/მ საავტომობილო გზის მოხრეშვა დაპროფილება – 37000 ლარი
14. ჯაპანა - ძლიერი წვიმის გამო დაზიანებულია მოსახლეობის კერძო ნაკვეთების დამცავი ჯებირი. საჭიროა მოეწყოს რკ/ბეტონის დამცავი ჯებირი ზომით 30X3.5X0.5გრძ/მ – 17500 ლარი
15. ჯაპანა - ნატანი ქანებისგან ამოვსებულია სანიაღვრე არხის კალაპოტი, დაახლოებით სიგრძე შეადგენს 3000 გრძ/მ, რომლებიც საჭიროებს გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას - 6000

საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს სულ - 245000 ლარი

სხდომის თავმჯდომარე, ამირან გიგინეიშვილმა, აღნიშნა რომ ის პროექტები, რომლებიც მომზადებული იყო და გადაეგზავნა ს.ს.ი.პ „ლევან სამსახაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ არ იქნა მოწონებული და დამატებით გადაეგზავნა შესაბამის სამინისტროს რეაგირებისთვის. რაც შეეხება სტიქიას, შესაბამისი დოკუმენტაცია გადაგზავნილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მოხდება თანხის დამატება და მოწესრიგდება არსებული პრობლემა.

ფრაქცია „თვითმმართველობა განვითარებისთვის“ თავმჯდომარე, რევაზ ჩიტინძემ, დააყენა წინადადება, რომ სხვა რაიონებთან შედარებით (ოზურგეთი,

ჩოხატაური) რატომ გვაქვს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ყველაზე მცირე დაფინანსება, გასაგებია რომ ოზურგეთი მოცულობით დიდია. იქნებ ერთობლივად მოვახდინოთ შესაბამის ხელმძღვანელობასთან საკითხის გარკვევა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა გააკეთა განმარტება. მან აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაგზავნილი იყო 70-მდე პროექტი, აქედან მოხდა 16 პროექტის დაფინანსება, ეს არის ამ ეტაპზე და დამატებით კიდევ შესაბამისი სამინისტრო შეძლებისდაგვარად გაგვიწევს ფინანსურ დახმარებას პროექტების განხორციელებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, ბიუჯეტში ცვლილების შეტანის ბოლო ვადა 27 აგვისტომდეა. როგორც კი იქნება მთავრობის განკარგულება და გვექნება საშუალება მოვახდინოთ კანონის შესაბამისად არსებულ საკითხზე რეაგირება, დამატებით ცვლილებები აისახება ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა გააკეთა ინფორმაცია, მან აღნიშნა რომ საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად მუნიციპალიტეტი მოკლებული იყო შესაძლებლობას და დღეის მდგომარეობით შევიდა არსებულ კანონში ცვლილება და არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 76 (14.08.2013 წელი).

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მ/წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულია საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 627 494 ლარი, აქედან საგადასახადო ნაწილში შემოსულია 308 624 ლარი, არასაგადასახადო შემოსავლის ნაწილში 315 522 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან 3 347 ლარი. წლის დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტიდან დამატებით უნდა შემოვიდეს 618 706 ლარი, როგორც ანალიზიდან ირკვევა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს დაგეგმილ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს 30 000 ლარის ოდენობით, რადგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაკრებლის გადამხდელი სუბიექტები აღარ ფუნქციონირებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების 30 000 ლარით გეგმის გაზრდის ხარჯზე შემცირდეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გეგმა. მიუხედავად იმისა რომ დაბალია შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან პროგნოზული გაანგარიშებით წლის დარჩენილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან როგორც მინიმუმ 211 853 ლარის მობილიზებაა შესაძლებელი, შესაბამისად, არის საშუალება არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლის 90 000 ლარის ზრდის ხარჯზე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ ა(ა)იპ საფეხბურთო „კლუბი გურიას“ არსებული დავალიანებების დასაფარავად. აგრეთვე გაცნობებთ, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი იყო 69 100 ლარი, განკარგულებაში შევიდა ცვლილება 2013 წლის 9 აგვისტოს №1039 საქართველოს მთავრობის განკარგულებით, რომლის საფუძველზე ლანჩუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 45 600 ლარი და პროექტის განხორციელებისათვის 1 026 130 ლარი, სულ 1 071 730 ლარი.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 02/08/2013 წლის №1016 განკარგულებით ლანჩუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 245 000 ლარი. დასაფინანსებელი პროექტების დაზუსტება მიმდინარეობს. არსებული ცვლილებები ასახული იქნება 2013 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტში.

აგრეთვე გამგეობის სოციალური სამსახური ითხოვს პროგრამაში თანხის მონაცვლეობას. კერძოდ: მშობიარობის თანადაფიანსების პროგრამა შემცირდეს 1500 ლარით და გადატანილი იქნას მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი შეჭირვებული ოჯახების დახმარების პროგრამაში 1500 ლარი, შეჭირვებულ ოჯახთა 6-დან 18

წლამდე ასაკის ბავშვების პროგრამა შემცირდეს 4000 ლარით და გადატანილი იქნას მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი შეჭირვებული ოჯახების დახმარების პროგრამაში 4000 ლარი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 77 (14.08.2013 წელი).

3. სხვადასხვა.

1. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ილო გვარჯალაძემ გააკეთა ინფორმაცია. მან აღნიშნა რომ აღნიშნულ კომისიას განცხადებით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარე, ამირან გიგინეიშვილმა, რომელიც ითხოვს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელებში“ გაწევრიანებას.

წარმოდგენილი საკითხი მიღებულ იქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე:

ამირან გიგინეიშვილი

საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნინო ძიძიგური

